პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 22 სექტემბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

214 (912) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელსმენი 2—24 | განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## შვებულო! პირნათლად შეასრულე წითელი არმიისდავალება და შენი დაპირება.

1924 წ. მაისის გამოწვევის წითელ არმიელთა შვებულებაში გაშვება უკვე დაიწყო. ახალგაზრდა მებრძოლნი სამხედრო მომზადებით და სათანადო პოლიტ ცოდნით დატვირთულნი მიდიან წითელ ყაზარმიდან თავიანთ სოფლებში. წასვლისა'ს ყველა ისინი ერთსულოვნად აღგვითქვამენ, რომ მუდამ იზრუნებენ წითელ არმიაზე და წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას მოახმარებენ სოფლის აღორძინების და გაფურჩქვნის საქმეს.

ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ შვებულნი თავის დაპირებას პირნათლად შეასრულებენ.

ამის უფლებას ჩვენ გვაძლევს მათი მუყაითი და გულმოდგინე წლი ნახევრის სწავლა წითელი ჯარის რიგებში.

ვემშვიდობებით რა წითელი არმიის მიერ გამოზრდილ საზოგადოებრივ მუშაკებს, ჩვენ კიდევ ერთხელ მოუწოდებთ მათ გულმოდგინე მუშაობისაკენ სოფლად. დეე ნურავითარი დაბრკოლება და სიძნელე ნუ შეაჩერებს მათ სოფლის საკეთილდღეოთ წარმოებულ სამუშაოზე.

მედგრად და მტკიცედ უნდა ჩაებან ჩვენი შვებულნი სოფლის საერთო აღმშენებლობაში. დეე! მათი ახალგაზრდა ენერგია და ძალა სავსებით მოხმარდეს მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გამაგრებას და გამტკიცებას.

დეე! მშრომელმა სოფელმა მათი მოსვლით იგრძნოს წითელი არმიის მთელი სიდიადე და მისი შემოქმედებით ძალა.

მხურვალე მხედრული სალამი წითელ არმიისაგან საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა აღმშენებლებს!

შვებულნო ნუ დაივიწყებთ თქვენ საყვარელ წითელ ჯარს! მუდამ იქონიეთ მასთან მჭიდრო კავშირი!

იმუშავეთ ერთგულად და ბეჯითად, აამაღლეთ კულტურულად და ეკონომიურად სოფელი, განავითარეთ თქვენი ცოდნა და მუდამ მზად იყავით საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების დასაცავად.

იყავით საბჭოთა ქვეყნის სამაგალითო მოქალაქენი!

ნუ შეარცხვენთ თქვენ წითელ არმიას!

იყავით მუდამ მისი ღირსეული შვილი.

პირნათლად შეასრულეთ თქვენი დაპირება!

## ვინ არის დამნაშავე.

ერთა ლიგის არსებობის უსაფუძვლობა დღეს ყველასათვის აშკარა და უდავო ხდება. ამას ვერ მალავენ უკვე ვერც ბურჟუაზიული მწერლები.

როგორც ვიცით ერთა ლიგაზე სოციალ-შემთანხმებლები დიდ იმედებს ამყარებდნენ. კაპიტალის მოციქულები თავგამოდებით არწმუნებდენ მშრომელთა მასებს მასში, რომ ერთა ლიგა მოსპობს ერთა შორის ყოველგვარ დავას და უთანხმოებას, რომ ამიერიდან (ე. ი. რაც ერთა ლიგა დაარსდა) ადგილი აღარ ექნება სისხლის ღვრას და სხვა. მაგრამ გადის დრო და მდგომარეობა სრულიად არ უმჯობესდება. ისევ ეკონომიური კრიზისი, ისევ შუღლი, ქიშპობა და ომი ცალკე სახელმწიფოთა შორის არ წყდება. ერთა ლიგა თავიდანვე ხდება ჰაერში გამოკიდებული. და ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენ კომუნისტები მუდამ იმას ვლაპარაკობდით, რომ ერთა ლიგა—კაპიტალისტების ახალი ხრიკია მშრომელთა თვალის ასახვევად და მათ დასაბრმავებლად.

ესოდენ დიდი სახელის მატარებელ ორგანიზაციის ქვეშ იმპერიალისტები თავის საზიზღარ დაპყრობით პოლიტიკას აწარმოებენ. არც ერთი დიდი მნიშვნელობის საკითხი ლიგას არ გადაუჭრია, ყოველგვარ ასეთ საკითხს წინასწარ სჭრიდენ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის იმპერიალისტები, ხოლო შემდეგ თავის დადგენილებას უკვე საქვეყნოდ გატარებდენ ერთა ლიგაში. ამ რიგად თუ რაიმე საკითხი გადიჭრებოდა ამ სალაყბო დაწესებულებაში, ყოველთვის მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფოების სასარგებლოდ. ერთა ლიგის ერთერთი ამოცანათაგანი იყო ახალი ომების წინააღმდეგ ბრძოლა. შესძლო ამ ამოცანის შესრულება მან? ოდნავადაც არა. აი მაგალითად მაროკოს ომი. მიიღო რაიმე ზომები ერთა ლიგამ ამ ომის მოსასპობად? არავითარი, კრინტიც არ დაუძრავს. რატომ? იმიტომ რომ ერთა ლიგა ვერ წავა საფრანგეთის მტაცებლური ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგ. ავიღოთ მოსულის საკითხი. ინგლისელებმა ეს რაიონი ჩამოგლიჯეს ოსმალეთს. ეს ყველასათვის უდავოა. რა ქნა ერთა ლიგამ, დაუბრუნა ოსმალეთს წართმეული მიწა-წყალი? არა, ვინაიდან ერთა ლიგა ინგლისის ბურჟუაზიის სურვილების წინააღმდეგ ვერ წავა.

ამრიგად ერთა ლიგის საზიზღარი როლი გარკვეულია—ის არის მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფოების იარაღი იმავე სისხლის მღვრელი ომების უპასუხისმგებლოთ საწარმოებლად და ახალი დაპყრობების მოსახდენად.

ერთა ლიგის ეს სამარცხვინო როლი დღეს იმდენად გამოაშკარავდა და მისი ავტორიტეტი იმდენათ დაეცა, რომ მისი დამაარსებელნი ერთი მეორეს აბრალებენ მის დაუძლურებას.

ვინ არის დამნაშავე ერთა ლიგის უსუსურობაში—ლაპარაკობენ ისინი და ერთი მეორეს ლანძღავენ.

ჩვენ კი ვიტყვით, რომ როგორც ამ ორგანიზაციის შექმნაში, ისე მის დაუძლურებაში დამნაშავენი არიან ყველა იმპერიალისტები. ერთიმეორეს ლანძღვით ისინი ვერ შესძლებენ მის გაცოცხლებას. ერთა ლიგა კარგა ხანია მოკვდა (თუმცა ცოცხალი ის არასოდეს არ ყოფილა). ეხლა ეს საძაგელი გვამი დროა გადაითრიოს რევოლიუციონურ გზიდან მშრომელი ხალხის მიერ და მას უკან მიეყოლოს მისი სულის ჩამდგმელი, ასევე მკვდარცოცხალი და დრომოჭმული კაპიტალისტური წესწყობილებაც.

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### კანტონის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

ჩინეთიდან გაზეთები იტყობინებიან, რომ რეაქციონერ გენერალს, ჯან-ჩუ-მინს განზრახვა ჰქონია დაიკავოს სანავთსადგურო ქალაქი სვატოუ და იქიდან გაილაშქროს კანტონის წინააღმდეგ, სადაც ამჟამად არის გომინდანის პარტიის მთავრობა.

ჯან-ჩუ-მინს მხარს უჭერენ გონკონგელი ვაჭრები.

### საუბარი ჩჟან-ძოლინთან.

ჩჟან-ძოლინს ესაუბრა იაპონიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელი. საუბარში ჩჟან-ძოლინმა სთქვა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ, რომ ის მზათაა მისცეს ს. ს. რ. კ. 350 ათასი მანეთი მეფის დროინდელი ქაღალდის ფულებით, შემდეგ მან სთქვა, რომ თუ ვინმე შეეცდება ჩინეთის გასაბჭოებას იგი დაუყონებლივ გაილაშქრებს მის წინააღმდეგ „ერის ბედნიერებისათვის."



ჯან-ცზო-ლინი
(უკანასკნელი სურათი.)

## ომი მაროკოში.

### მოსალოდნელი სამხედრო ოპერაციები.

გაზეთი „მატენი" ბეჭდავს საფრანგეთის ერთ-ერთ მომქმედ არმიის უფროსის განცხადებას, მოსალოდნელ სამხედრო ოპერაციების შესახებ.

გენერალი აცხადებს, რომ არაა მოსალოდნელი რომ სამხედრო ოპერაციები გადატანილი იქმნეს რიფების ტერიტორიაზე მანამ არ შეწყდება წვიმები. ყოველ შემთხვევაში ეს შეუძლებელია ტაუნატას მთიან ადგილებში.

## სირიაში მდგომარეობა კრიტიკულია.

მთავრობის ცნობებთან ერთად სირიაში ფრანგულ იარაღის გამარჯვების შესახებ, ამაუონის არხიეპისკოპი აცხადებს, რომ სირიაში ძლიერ კრიტიკული მდგომარეობა შექმნილი და ფრანგულ პრესტიჟის აღსადგენად საჭიროა გაბედული ნაბიჯები და გონიერ მმართველობის დამყარება.

## მუშათა პარტიის კანდიდატმა გაიმარჯვა.

ინგლისის თემთა პალატის დეპუტატის დამატებითა არჩევნების დროს სტოკპორტში გაიმარჯვა მუშათა პარტიის კანდიდატმა ტაუნდსენმა. სტოკპორტი თავიდანვე ითვლებოდა კონსერვატორების ბუდეთ და არავის არ ეგონა თუ აქ დამარცხდებოდა კონსერვატიული პარტიის კანდიდატი.

საარჩევნო კამპანიის დროს კომუნისტებმა გამოუშვეს დეკლარაცია, სადაც ისინი მხარს უჭერდენ მუშათა პარტიის კანდიდატს.

ტაუნდსენის არჩევის გამო გაზეთებში დიდი მითქმა—მოთქმა გაიმართა.

## ვინ არის დამნაშავე ერთა ლიგის უსუსურობაში.

ერთა ლიგის უსუსურობა რომელიმე სერიოზულ პოლიტიკურ პრობლემის გადაწყვეტაში ისეთი თვალსაჩინო შეიქმნა ყველასათვის, რომ მისი დამალვა შეუძლებელი შეიქმნა საზოგადოებრივ აზრისაგან. ამის გამო ბურჟუაზიული ჟურნალისტები, რომლებიც თვით ოფიციალურ წრეების კარნახით სწერენ, ცდილობენ ერთა ლიგის უძლურობის პასუხისმგებლობა ინგლისს დააკისრონ.

„მატენი"ს ფურცლებზე ზაუსვეინი აშკარად აღიარებს, რომ ერთა ლიგას ასუსტებს ინგლისის ობსტრუქცია და ის გარემოება, რომ ინგლისი ცდილობს ერთა ლიგის სისუსტე თავის მიზნებისათვის გამოიყენოს. ინგლისმა წინეთ უარყო განიარაღების და სავალდებულო არბიტრაჟის პროექტები,- ეხლა კი ის უარს ამბობს საფრანგეთის წინადადებაზე ეკონომიურ კონფლიქტის საკითხის შესახებ.

ზაუსვეინი დასძენს, რომ, სამწუხაროდ, იტალიაც მხარს უჭერს ამ ობსტრუქციის პოლიტიკას.

ზაუსვეინს, უთუოთ, ავიწყდება, რომ საფრანგეთმაც უარყო მთელი რიგი წინადადებისა ნეიტრალურ სახელმწიფოების მხრივ, რომელნიც განიარაღებას ეხებოდნენ.

## მე—4 ტერლეგიონის დღესასწაული.

20 სექტემბერს 4 ტერ-ლეგიონმა გადაიხადა საზეიმო დღესასწაული თავის ერთი წლის არსებობის თავზე. დღესასწაული გადახდილი იქმნა ქალაქის გარეთ, მის დაბანაკების ადგილას. დღესასწაულს დაესწრო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს № ქალაქის ყველა ორგანიზაციებმა. ლეგიონის შეფმა, სამაზრო აღმასკომმა, მას მიართვა წითელი დროშა. საქ. სახ. გამომცემლობამ კი ამხ. ლენინის ბიუსტი.

## მკვდრები ფართხალებენ.

პარიზელ რუს ემიგრანტების ერთი გაზეთი იტყობინება, რომ პარიზში გამართულა რუს მონარქისტ—ემიგრანტების სამხედრო შტაბის პოლიტიკური განყოფილების სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე. სხდომაზე კოკოვცევმა გააკეთა მოხსენება, რომ საფრანგეთის მონარქისტებთან სწარმოებს მოლაპარაკება ფულადი დახმარების მიღების შესახებ, თუ ვინიცობაა წითელ არმიაში იფეთქა აჯანყებამ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის სასარგებლოთ.

ასეთსავე დახმარებას მათ დაპირდენ გერმანელი მონარქისტები, თუ რუსები უარს იტყვიან ფრანგებიდან დახმარების მიღებაზე.

რუსი მონარქისტები ეხლა არჩევანში არიან, ვისი სუბსიდია ირჩიონ გერმანელების თუ ფრანგების.

## რუმინეთი ბალკანეთის ბლოკის მომხრეა.

რუმინეთში გაცხოველებული მსჯელობაა ბალკანეთის ბლოკის (კავშირის) შექმნის გარშემო.

გაერთიანებულ ოპოზიციის მემარცხენე ფრთის გაზეთი სწერს, რომ საჭიროა 1911 წელში ოსმალეთის წინაღმდეგ მიმართული სერბიასა, ბულგარეთსა, რუმინეთსა, საბერძნეთსა და მთაშავეთს შორის დადებული ხელშეკრულების აღდგენა. ამასთანავე ის უმატებს, რომ ხელშეკრულების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ არსებულ საზღვრების ცნობით და სამეურნეო თანამშრომლობის დროს. კავშირს უნდა ქონდეს მოგერიებითი ხასიათი და ყოველგვარი სადავო კითხვები უნდა წყდებოდეს სამედიატორო სამართალით.

## 26 კომუნარის ხსოვნას.

1918 წლის, 20 სექტემბერს, კასპიის ერთ-ერთ უდაბნო, ტრიალ გადარბენაზე ვერაგულად მოკლულნი იქმნენ ბაქოს და ამიერ კავკასიის პროლეტარიატის ბელადნი და საუკეთესო წარმომადგენლები: სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე და მათი სხვა თანამშრომელნი. ვინ იყვნენ მეთაურები ამ ჯალათურ მკვლელობის და როგორი პოლიტიკური ვითარება უძღოდა წინ ამ საშინელ ტრაგედიას? ამ ხანებში ამიერკავკასია სოციალ-შემთანხმებელთა და ნაციონალისტების წყალობით ჩამოშორებული იყო რევოლიუციონურ, საბჭოთა რუსეთისაგან. მხოლოდ ბაქოში, რუსეთთან სიახლოვის, ადგილობრივ მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციების სიძლიერის და სხვა მიზეზების გამო, გაბატონებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. ამიერკავკასია კი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, ოსმალეთის, ინგლისის და გერმანიის საბრძოლველ ასპარეზად იყო გადაქცეული. მენშევიკურ მთავრობის ნებართვით, ოსმალეთის ურდოები უახლოვდებოდენ საბჭოთა ბაქოს. შიგ ქალაქში თავი წამოყვეს საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის გეგემონიის მტრებმა დაშნაკელების, მენშევიკების და ესერების მეთაურობით. ესენი მოითხოვდენ ინგლისელების მოწვევას, თითქოს ოსმალოებისაგან თავდასაცავად, ნამდვილად კი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. და ამ დროს, როდესაც ბაქო გარშემორტყმული იყო მტერით და შიგაც არა ნაკლები მოიპოვებოდა, მუშათა კლასის ხელმძღვანელები შედრკენ და ხელისუფლება დაუთმეს ე. წოდებულ დირექტორიას, რომელშიაც პირველობა ესერებს ეკუთვნოდა.

იმათმა არ დააყოვნეს ინგლისელების მოწვევა.

მათ მოსვლისთანავე კომუნარები შეიპყრეს და გადაგზავნეს ზაკასპიაში. ქ. კრასნოვოდსკიდან ქ. ასხაბადამდე ბნელ ღამეში ისინი მხეცურად მოკლეს ინგლისელების აგენტებმა. წარმოებულმა გამოძიებამ უდავოთ დაამტკიცა, რომ ყოველგვარი პასუხისმგებლობა 26 კომუნარის მკვლელობის თავს აწევს ინგლისის იმპერიალიზმის ყურ-მოჭრილ მონებს—ესერებს. დაშნაკელები, მენშევიკები და უმთავრესად ესერები იყვნენ ამ მკვლელობის იდეიური სულის ჩამდგმელნი და მისი ფიზიკური შემსრულებლებიც. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უკვე შესძლო თავის კლასსიურ მტრებისათვის სამაგიეროს გადახდა და თუ დღეს უმთავრესი მონაწილენი ამ ვერაგობისა ცოცხალნი არიან, სულ მოკლე ხანში მათთაც სწვდება პროლეტარიატის დამსჯელი ხელი.

26 კომუნარის საუკეთესო ხსოვნა კი იქნება, რომ ჩვენ განვახორციელებთ იმ დიად იდეალებს, რომელსაც ისინი ზვარაკად შეეწირენ.

ნ.

## ტერ-შეკრებაზე.

### ჯგუფური ომი.

იმპერიალისტურ ომის დასაწყისში ბრძოლებს ყველა არმიები აწარმოებდენ მსროლელთა ხაზების საშუალებით.

ეს აუცილებელი იყო მიტომ, რომ ყოველ მსროლელს ქონებოდა საშუალება თავისი იარაღის ხმარებისა ისე, რომ მეორისათვის ხელი არ შეეშალა. ხაზებს გარდა იყო რეზერვი იმათ დასახმარებლად, რომლებიც ბრძოლას აწარმოებდენ.

საარტილერიო და ტყვიამფრქვევთა ცეცხლის გაძლიერებამ, ყუმბარა და ნაღმ მტყორცნის გაუმჯობესებამ და საერთოდ ტეხნიკის ზრდამ ის დაგვანახვა, რომ შეტევაზე გადასული ჯგუფი თვალის დახამხამებაში ალგვილი იყო მიწიდან მტრის ცეცხლით, ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ერთი მეორეზე ხაზების დაწყობა განსაზღვრულ მანძილზე ისე, რომ საჭიროებისას უკანას საშუალება ქონოდა დახმარება გაეწია პირველისათვის, ნაწილობრივ და სრულიად შეეცვალა წინა ხაზი.

როდესაც ერთი მეორეზე მიდიოდა მსროლელთა ტალღები შესაძლებელი იყო მრავალი მათგანი მისულიყო მტრის სანგრებამდე და იქ ხელჩართულ ბრძოლით გადაეწყვიტა ბრძოლის ბედი. ბრძოლის ასეთი წესი მიღებული იქმნა ომის პირველ წლის დამლევს. მაგრამ ესეც ნაკლებ გამოსადეგი წესი აღმოჩნდა. ყუმბარის აფეთქების ადგილას კეთდებოდა დიდი ორმოები და მთელი ველი ისეთ სახეს ღებულობდა, რომ ძნელი იყო გამორკვევა სად სწორი ადგილი და სად სანგრები იყო. მავთულიან ხლართების ნაწყვეტები, რკინა, ქვა მიწა და ხის ძელები ისე იყვნენ არეულნი ერთი მეორეში, რომ მსროლელთა ხაზებისათვის ძნელი იყო გავლა. ამიტომ ხაზები თვითონ ნაწილდებოდენ ჯგუფებათ და ყუმბარით ამოთხრილ ორმოებით სარგებლობდენ, როგორც სანგრებით ორმოებში საფარს ნახულობდენ და აქედან ისვრიდენ.

მსროლელთა ნაწილი ხელის ტყვიამფრქვევით ან ავტომატიურ თოფით იკავებდა ასეთ ორმოს.

ამგვარად კეთდებოდა მთელი ჯგუფი, რომელსაც ეკავა ეს ორმოები და ისინი გაერთიანებული იყვნენ მიმოსვლის საშუალებით, მაგრამ გაერთიანებული იყო მხოლოდ მათი ნაწილი ვსთქვათ ასეული. ყოველი ჯგუფი ცეცხლს აჩაღებდა მაშინ, როდესაც მეორე ჯგუფი ერთ ორმოდან მეორეში გადადიოდა.

გადასვლა სწარმოებდა დაკლაკვნით.

ყოველ ჯგუფს აუცილებლივ უნდა ქონდეს ავტომატი ან ტყვიამფრქვევი, რომ მან ხანგრძლივი და ძლიერი ცეცხლი აწარმოვოს.

ბრძოლის ასეთი წესი ყველაზე მიზანშეწონილი აღმოჩნდა და ეხლაც მას ხმარობენ ყველა არმიებში.

პრ.

## არმიის „თვალი და ყური".

**რა უპირატესობა აქვს ქვეით დაზვერვას სხვა სახის დაზვერვებთან.**

თანამედროვე ავიაცია იმდენათ განვითარებულია, რომ ერთის შეხედვით კაცს გეგონება, რა საჭიროა ქვეითი ან სხვა სახის დაზვერვა, როდესაც ჰაეროპლანზე დაჯდები და თავისუფლათ შეგიძლია გადახედო მტრის ბანაკს და აცნობო ამის შესახებ ყველაფერი შენიანებს; თითქოს აღარ არის საჭირო აღარც ცხენოსნები და არც ქვეითები. არსებითად კი ასე არაა. არმიების თანამედროვე შეიარაღება იძლევა საშუალებას შორს მანძილზე ტყვიით მიწვდომისას დაამიტომ შემოღებულია მებრძოლების მიმოზნევით (ერთი მეორესთან დაშორებით დაყენება) და კარგი შენიღბვა.

ასეთ პირობებში ჰაეროპლანიდან ძნელი ხდება დაზვერვა. ძირს დაშვება და ვინმეს დაპატიმრების შემდეგ გამოტეხა მფრინავს არ შეუძლია და აეროპლანის მოტყუება კი გაუადვილდება მტერს. დღეს მტრის ჯარი განგებ დაიწყებს ერთის მიმართულებით წინსვლას და ღამე კი სულ სხვაგან გამართავენ შეტაკებას. შეიძლება ასეც, რომ მტერმა დაამზადოს სანგრები, ხოლო ახალ ამოთხრილ მიწას მოასხას მიწის ფერი კრასკა და აეროპლანმა კი ვერაფერი შენიშნოს.

ყველაფერ ამის გარდა ავიაციას აქვს თავის უარყოფითი თვისებები. ჯერ ერთი, ფრენა არ შეიძლება ყოველთვის, რადგანაც მანქანა ვერ წაიღებს იმდენ ბენზინს, რომ ეს მას დიდხანს ეყოს და ხშირათ ამინდიც შეუძლებელს გახდის ფრენას.

ცხენოსან მზვერავებსაც ყოველთვის და ყოველგან არ შეუძლიათ მუშაობა. ამ მხრივ ადგილმდებარეობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. თუ, მაგალითად, ტალახია ცხენი ჩაეფლობა ტალახში, თუ დიდი აღმართია და მიდის მხოლოთ საცალფეხო გზა ან საჭიროა ხშირ ტყეზე გავლა. გარდა ამისა ცხენოსანი ადვილი შესამჩნევია მტრისათვის და იგი ადვილათ შეიძლება ჩავარდეს მტრის ბანაკში.

მტრის შესახებ საჭირო ცნობები კი შეიძლება იშოვნოს კაცმა, მაშინ თუ დაზვერვას აწარმოებ მტრის ზურგში, ან ყოველშემთხვევაში მტრის ახლო მხარეებზე (მარჯვენა-მარცხენა ფლანგებზე).

ზევით ნათქვამიდან უკვე თავისთავათ აშკარა ხდება თუ რა მნიშვნელობა ეძლევა ქვეითი დაზვერვას. ქვეით მზვერავს შეუძლია საჭიროების დროს ისე დაიმალოს, რომ იგი შეუმჩნეველი გახდეს მტრისათვის, თუნდაც უკანასკნელმა მას ახლოს გაუაროს და ამნაირათ გავიდეს მტრის ბანაკისაკენ. შემჩნევის შემთხვევაშიაც გულად მზვერავს შეუძლია ცეცხლის და იარაღის დახმარებით შეასრულოს მასზედ დაკისრებული ამოცანა.

ი. ბარ.

## „პირი სოფლისაკენ" ქართული შეერთებული სამხედრო მეთაურთა სკოლის სამხედრო—სამეცნიერო წრის მუშაობის პრაქტიკაში.

ქართული შეერთებული სამხედრო მეთაურთა სკოლის სამხედრო მეცნიერების წრის პრეზიდიუმმა მიიღო სკოლის საკარვოდ ყოფნის განმავლობაში მუშაობის შესაფერი გეგმა.

მან პირველი სხდომაზე, 24 ივნის, სახელმძღვანელოდ მიიღო ყველა სკოლების სამხედრო სამეცნიერო ორგანიზაციების საბჭოს დადგენილებანი და თავისი საწარმოვო გეგმა შეიმუშავა.

გეგმის შემუშავებაში მას მხედველობაში ქონდა მიღებული სამხედრო-სამეცნიერო ორგანიზაციების საშუალებით მშრომელთა მასების რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში აქტიურ მუშაობაში ჩაბმა და მათი საამისო მომზადების ხელის შეწყობა, რაც შესაძლებელია მათში სამხედრო სამეცნიერო ცოდნის გავრცელებით. საკარვოთ ყოფნა კი საუკეთესო საშუალებაა ამ მხრივ წრისათვის, როდესაც ირგვლივ მრავალი სოფლებია, სადაც შესაძლებელია მუშაობის ფართედ გაშლა და ამით მცხოვრებთა დაინტერესება.

ასეთი მუშაობის წარმოება ცოცხალ მაგალითებზე, მოწყობილი, ჩვენებითა და მოხსენების მეთოდზე აგებული, მომავალში იქნება სამხედრო საქმის საუკეთესო გამტარებელი მშვიდობიან მცხოვრებთა შორის.

ზემო ხსენებულის გამო წრის საწარმოვო გეგმა შემდეგში გამოიხატა:

1. ხელი შეეწყოს საკარვო შეკრების ყველა შევბულების შეერთებულ სამხ.-სამეცნიერო საზოგადოების მიერ განზრახულ ჟურნალის გამოცემას, რისთვისაც დაევალოს ყველა წევრებს შეძლებისდაგვარათ დაამზადოს შიგ მოსათავსებლათ წერილები.

2. იმავე საბჭოს მიერ განზრახულ სამხედრო თამაშის მოწყობაში მონაწილეობის მიღება.

3. ტყვიამრფქვევლებიდან მეთაურთა—პოლიტშემადგენლობისათვის სანიმუშო სროლის მოწყობა მოძრავ მიზნებზე.

4. საშეფო სოფლებში სროლისვარჯიშობის მოწყობა

5. მეთაურთა პოლიტშემადგენლობისათვის რამოდენიმე მოხსენების გამართვა

6. კურსანტთა წრეებში რამდენიმეთემის დამუშავება, კურსანტების მიერ წამოყენებულისა

7. ლენინის კუთხეებში სამხედრო თამაშობის მოწყობა.

მიუხედავად წრის ნაყოფიერ მუშაობისა, განსაკუთრებით სამხედრო საქმის პროპაგანდის დარგში, საკარვო მუშაობის ბუჯეტი დამთავრებული იქმნა ცოტაოდენი აუცილებელ დეფიციტით.

უკანასკნელი ეხება უფპოლიტშემადგენლობასთან მეცადინეობასაც, რომლის მოგვარება ვერ შევძელით.

ეს აიხსნება უფპოლიტშემადგენლობის ზედმეტი დატვირთვით ერთის მხრივ და მეორეს—თვით სკოლის მეცადინეობის თავისებური თვისებით. (ველზე მეცადინეობა) საერთოთ გეგმა თითქმის შესრულებული იქმნა.

საბჭოს მიერ მოწყობილ სამხედრო თამაშში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე მეთაურმა თავის სურვილით.

ჟურნალისათვის გამზადებული იქმნა რამდენიმე წერილები, მაგრამ ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ყველანი ვერ მოთავსდა.

ჟურნალი უკვე გამოვიდა და კიდევაც მივიღეთ. ჟურნალი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

განსაკუთრებით ზედმიწევნით წარჩინებულათ ჩატარდა საშეფო სოფლებში მოწყობილი სროლის ვარჯიშობანი.

ასეთი სროლა საშეფო სოფლის გარდა ჩატარებული იქმნა ორ სოფელში.

ხსენებულ ვარჯიშობის ჩასატარებლათ გამოყოფილი იყო წევრები, რომლებმაც გულდასმით შეასრულეს დავალებანი.

დიდი ყურადღებით და კმაყოფილების გრძნობით ხვდებოდა გლეხები ამ საჭირო საქმეს. მონაწილეთა დიდი პროცენტი და ვარჯიშობის შედეგები ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ასეთ მუშაობას სოფლებში.

მ. გ—ძე.

(გაგრძელება იქნება).

# ტერ-შეკრებაზე

## საერთო შეკრება ჩვენთან.

**მე-2 ცალკე საკავშირო ასეული.**

მე-2 ცალკე საკავშირო ასეულში ტერ-არმიელთა შეკრება დაიწყო 1 სექტემბრიდან.

ბანაკად გასვლის დღეს ტერ-არმიელები უკვე გამოცხადებული იყო.

განათლების მხრივ ტერ-არმიელთა შემადგენლობა ვერ აკმაყოფილებს სპეციალურ ნაწილს—როგორც არის „საკავშირო“. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ როდესაც მიწერა ხდებოდა ტერ-არმიელების, მიმწერლებს, არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ იმ გარემოებისათვის, რომ უმრავლესობა ცოტა განათლებით მაინც უნდა ყოფილიყო.

ასეულს არა ყავს ამ შემადგენლობიდან წერა-კითხვის უცოდინირები. ტერ-არმიელები ალტაცებით ეგებებიან და ყოველნაირად ხელს უწყობენ ტერ-ალმშენებლობის პირველ ნაბიჯს ნაწილში. არც ერთი ტერ-არმიელი გულცივად არ ხვდება თავის მოვალეობას და პირნათლად ასრულებენ მას.

ძირედი წ. არმიელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობა ანსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტერ-არმიელების აღზრდას.

უკმაყოფილებას ტერ-არმიელებში არა აქვს ადგილი.

ნაწილის მთელი შემადგენლობა ტანისამოსით, საჭმელ-სასმელით და ყოველგვარი კმაყოფით არის დაკმაყოფილებული.

ტრანსპორტი.

## სამხკორთა კრება.

**მე-6-ხე ტერ-ლეგიონი.**

15 სექტემბერს შესდგა ჩვენი ლეგიონის სამხკორთა კრება, დაესწრენ ყველა სამხკორები, კრება მოწვეულ იქნა გაზ. „წითელი არმიელის“ წარმომადგენელ ამხ. მ. სიმონგულოვის მიერ.

დღის წეს-რიგში დასმული იყო ორი უმთავრესი საკითხი: 1). მოხსენება ნაწილის ერთ-ერთ სამხკორისა ნაწილში სამხკორების მუშაობის შესახებ და 2) მუშაობა სამხკორთა შორის ნაწილებში.

პირველი საკითხის გარშემო ილაპარაკა ამხ. ასათიანმა.

მან აღნიშნა საერთოდ თუ როგორ არის დაყენებული ნაწილში სამხკორთა მუშაობა, ან რა ხელშემშლელი პირობები ჰქონდა მას.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რედაქციის წარმომადგენელი ამხ. სიმონგულოვი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა თუ როგორ უნდა იქნეს სამხკორთა ორგანიზაცია მოწყობილი და როგორი დახმარება უნდა გაუწიოს მას ნაწილის პარტ-აპარატმა. ამხანაგს აგრეთვე მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რომელ ნაწილს რამდენი კორესპონდენცია აქვს გაგზავნილი და გაშვებული „წითელი არმიელში“ ივლისის თვის განმავლობაში. ჩვენი ლეგიონს ამ შემთხვევაში უჭირავს მეორე ადგილი, რაც დადებით შედეგათ უნდა ჩაითვალოს, როგორც ახლად დაარსებული ნაწილი, შედარებით სხვა ძირითად ნაწილებთან.

მოხსენებისა და შეკითხვების ამოწურვის შემდეგ, სამხკორთა წრის ორგანიზატორად ამორჩეულ იქნა ამხ. კარლო გამსახურდია, რომელსაც დაევალა თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დააყენოს სამხკორთა წრის მუშაობა ჩვენ თან.

სამხკორი დამსწრე.

## დაუახლოვეთ ბიბლიოთეკა.

**5-თე ლეგიონი.**

ჩვენი მე-5-თე ლეგიონის ბიბლიოთეკა საერთო შეკრებამდე მოთავსებული იყო ლეგიონის სკოლის შენობაში.

5 სექტემბერს მოხდა საერთო შეკრება. წერტებიდან ჩამოვიდენ მეხუთე ლეგიონის ნაწილები დაბინავდენ ყოფილ მესამე ლეგიონის ყაზარმებში. რადგანაც მათზე დაშორებული იყო ბიბლიოთეკა და წითელ არმიელები ვერ სარგებლობდენ წიგნებით სიშორის გამო, თანახმად სამხკომის ბრძანებისა ბიბლიოთეკა გადავიტანეთ მათთან და მოვათავსეთ ყოფილ ეკლესიაში. აქ გვექნება საერთო შეკრების დამთავრებამდი ბიბლიოთეკა, შემდეგ კი ისევ ძველ ბინას დაუბრუნდებით. ეხლა წითელ არმიელები ხშირად შემოდიან ბიბლიოთეკაში თავისუფალ დროს და კითხულობენ გაზეთებს და წიგნებს. ჩვენი ლეგიონი ემზადება მანევრებისათვის, ასე რომ მალე მოგვიხდება წასვლა და თან წავიღებთ ბიბლიოთეკასაც.

სამხკორი თ—ძე.

## გავხსენით მეორე საფეხურის სემინარიც.

**5-თე ლეგიონი.**

ამ დღეებში ჩვენს ლეგიონში გაიხსნა მეორე საფეხურის სემინარი, სადაც იმეცადინებს ცვალებადი შემადგენლობა. სემინარს მიზნად აქვს დასახული მსმენელებს შეასწავლოს ქოხ-სამკითხველოს მნიშვნელობა და მისი დანიშნულება სოფლად. ცვალებადელები ძლიერ დაინტერესდენ ამ საქმით. ლეგიონის კლუბი ყოველ მხრივ სცდილობს ჩქარა დაიწყოს მუშაობა. მსმენელების რიცხვი თანდათან იზრდება. ამ ჟამად სემინარში იმყოფება 60 კაცამდე. სემინარის ხელმძღვანელობა ენერგიულ მუშაკს აქვს დაკისრებული და იმედი გვაქვს კარგ შედეგებს მოგვცემს.

სამხკორი ახალციხელი.

## „ცნობის მოყვარე მკითხველები.“

**5-თე ლეგიონი.**

მე-5-ე ლეგიონის სკოლაში სისტემატიურად სწარმოებს კურსანტების წერილების კითხვა. ვიდრე წერილი მიაღწევდეს დანიშნულებისამებრ, მას კითხულობენ ყველანი, ვისაც კი ეს არ ეზარება და შემდეგ, უკვე გახსნილი, გადადის იმ კურსანტის ხელში, რომლის მისამართითაც იყო ის დაწერილი.

ეს გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევს კურსანტებს შორის.

საჭიროა გამორკვეულ იქმნეს, რით ხელმძღვანელობენ ის პირები, რომლებიც ხსნიან და კითხულობენ სხვის წერილებს. იციან თუ არა რა ეწოდებათ ასეთი საქმების ჩამდენთ?

გივი.

## პურს აკლდება ფონაში.

**2-ე არტლეგიონი.**

ლეგიონის მეორე საველე ბატარეიაში თითქმის ყოველთვის აკლებენ პურს წითელ-არმიელებზე დარიგების დროს. ასე არ ხდება ლეგიონის სხვა ნაწილებში, მაგალითად საგაუბიცო დივიზიონში, სადაც თითეული წითელ არმიელი სრულიად ღებულობს თავის ხვედრ პურს. რაშია საქმე, რატომ აკლებენ ერთში და არ აკლდება მეორეში.

საჭიროა ჩვენ მაინც ვიცოდეთ რით არის გამოწვეული ასეთი ეკონომია.

უფროსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და ერთხელ და სამუდამოთ მოუღონ ბოლო გაუგებრობას, რომელიც დიდ უკმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

სამხკორი სურამელასპირელი.

# წითელ ყაზარმიდან სოფლისაკენ.

## ჩვენი მადლობა წითელ ყაზარმას.

ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მოვალეობა და პირნათლად მოვიხადეთ სამხედრო ბეგარა. ჩვენ მივემგზავრებით სოფლად და ვსტოვებთ ჩვენს წითელ-ყაზარმას—სკოლას, სადაც ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ: წერა-კითხვა, სამხედრო საქმე, პოლიტიკური განვითარება და მრავალი სხვა. მართალია ძლიერ გვიჭირს იმ ყაზარმის მიტოვება, რომელმაც ასეთი დიდი, დაუფასებელი როლი ითამაშა ჩვენი განვითარების საქმეში, მაგრამ სამაგიეროდ სოფელსაც უნდა მიშველება, ჩვენ ამას კარგად ვგრძნობთ და უფროსებიც ამას გვეუბნებოდენ ყოველთვის. ჩვენ უნდა აუხსნათ სოფლებში თუ რა დიდი ყურადღება ექცევა წითელ არმიას, მის აღზრდის და განვითარების საქმეს, რა მნიშვნელობა აქვს მას მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის და როგორი ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ ჯარში გაწვევის თითეულ გამოცხადებას.

ჩვენ შევეცდებით სამაგალითონი ვიქნეთ, და დაუმტკიცებთ ყველას, თუ როგორი ცოდნას იძლევა წითელი არმია და როგორ შეუძლია გამოიყენოს ის სოფლად დაბრუნებულმა თითეულმა არმიელმა.

შვებული არმ. შანშიაშვილი.

## გამომშვიდება

(უვადო შვებულებაში მიმავალ წ.-არმიელთა).

მშვიდობით: სკოლა—ყაზარმავ,  
ჩემო აღმზრდელო დედაო;  
შენს განშორებას, იცოდე,  
გულით ვღარც-კი ვბედავო.

——

ნახვამდის: მზიურ ელვარევ,  
სწავლა—სინათლის ტაძარო;  
წითელი დროშა, მოგიკვდე,  
სულ მაღლა თუ არ ვატარო.

——

მივდივარ, სოფლად, მოვფინო:  
აქ შეძენილი ცოდნაო;  
შხამად გადმექცეს მშობლის რძე,  
ო, თუ ვსტყუოდე ოდნავო.

——

შრომის ქვეყნების გუშაგო,  
თავზარ დამცემო მტრისაო;  
რა მივალ სახლში, მაგიერ  
გამომგზავნი ვარ ძმისაო.

——

მივდივარ, მაგრამ... თუ კი, რომ  
დაგჭირდე,—მიხმე მალეო;  
სწრაფად გავჩნდები, ძახილზე  
ნახვამდის... გენაცვალეო...

წ.-არმ. [illegible]—ნ.

## როგორი ცოდნით მოვიდენ და როგორით მიდიან

**პირველი ლეგიონი.**

ეხლახან უვადო შვებულებაში მიმავალ არმიელთა შორის მუშაობის შედეგი ასეთია:

თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს, პირველ ლეგიონს 1924 წლის მაისში გამოწვეულებთაგან მიუღია დაახლოვებით 450 კაცამდე, მათ შორის წერა-კითხვის სრულიად უცოდინართა რაოდენობა, და პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო 230 კაცი. მცირე მცოდნე 152 კაცი და მცოდნე კი 68 კაცი.

ასეთი იყო მიღებული წ.-არმიელთა მომზადების დონე პირველ ლეგიონში. თუ ავიღებთ ეხლა უვადო შვებულებაში მიმავალ არმიელებს, შევხედავთ, რომ მათ შორის 350 კაცი კარგად ერკვევა მნიშვნელოვან საკითხებში, ხოლო დანარჩენები მცირე მცოდნენი არიან წერა-კითხვისა და ერკვევიან ელემენტარულ საკითხებში.

უცოდინართა რიცხვი სრულებით არ არის. ეს მოყვანილი რიცხვები მაჩვენებელია იმისა, რომ წ. ყაზარმა სპობს უმეცრებას არღვევს საუკუნოებრივ უკუღმართ წყობილების მიერ დატოვებულ ბნელეთს, და მშრომელთა მასას მიაქანებს სინათლისაკენ.

საერთო განათლების საგნებს დიდი ყურადღება ექცეოდა, ვინაიდან სოფლიდან ჩამოსული გლეხობა ამ მხრივ ჩამორჩენილი იყო.

პოლიტიკურ მეცადინეობასთან ერთად გავდიოდით გეოგრაფიას, ქართულ სიტყვიერებას, ანგარიშს, ბუნებისმეტყველებას, რასაც პოლიტმეცადინეობის დროს ვიხმარებდით, როგორც დამხმარე საგნებს, პოლიტცოდნის გასამტკიცებლათ და ამავე დროს ვაძლევთ შესწავლის ხასიათს.

ყველა ამ საგნებს პოლიტიკურ მეცადინეობასთან ერთად კარგად ითვისებდენ ამხანაგები.

ამას გარდა ლეგიონში დაარსებული გვქონდა კურსები: საკოოპერაციო, ქოხ-სამკითხველოსი, და სამილიციო, რომლებიც ამზადებდენ არმიელებს სოფლად მუშაობისათვის.

კურსებისთვის მოწვეული იყო სათანადო ლექტორები. მსმენელთა რიცხვი უდრიდა დაახლოვებით 100 კაცს. გარდა ამისა არსებობდა ლეგიონის კლუბთან წ.-არმიელთა თვითმომქმედი ორგანიზაციები, როგორიც არის საკლუბო წრეები, და სხვა. არმიელები ჩაბმული იყვენ აგრეთვე რემედასის, ავიოქიმის და სხვათა მუშაობაში, აქ შეძენილი გამოცდილებანი არა ნაკლებად გამოადგებათ მათ სოფლად მოქმედების დროს.

არსებობდა მუშკორებისა და გლეხკორების მოსამზადებელი წრეები, სადაც ეცნობოდენ და სწავლობდენ მუშკორებისა და გლეხკორების მოვალეობას, და მათ დანიშნულებას. ამით ჩვენ შევსძელით ქალაქის მუშებისა და სოფლის გლეხებისათვის მიგვეცა გამოცდილი მუშკორები და გლეხკორები.

ყველა ამ მუშაობის მთავარი სარძიკველი იყო წითელი კუთხე, რომლის მუშაობა მჭიდროთ არის დაკავშირებული დანარჩენი სხვა მუშაობასთან. წ.-კუთხეში სწარმოებდა პირველ დაწყებითი მუშაობა, რაც ნიადაგს უმზადებდა და ხელს უწყობდა სხვა დანარჩენი მუშაობის განმტკიცება-გაძლიერებას.

ასეთი იყო პირველი ლეგიონის მუშაობის სურათი ამ ჟამათ შვებულებაში მიმავალ ამხანაგებთან, რაც დარწმუნებული ვართ გაგვიმართლებს იმედებს.

იო. მაისაია.

## სოფელი აღორძინების გზაზე.

(სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედის ცხოვრებიდან)

შვებულებაში გამგზავრების წინ კომუჯრედმა დაავალა კურსანტებს გასცნობოდნენ სოფლის ცხოვრებას და დაბრუნებისას გაეკეთებინათ მოხსენება ამა თუ იმ სოფლის მდგომარეობის შესახებ. ყოველ კურსანტს სახელმძღვანელოთ მიეცა ჩამოწერილი საკითხები, რომლებზედაც მას უნდა გაეცა პასუხი. სექტემბრის 20 კრებაზე, დაბრუნებულმა კურსანტებმა გააკეთეს მოხსენება თავის მუშაობის და დაკვირვებების შესახებ.

აქ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან არიან. არის აჭარელი, აფხაზი, ოსი, გვყავს ზემო სვანეთის წარმომადგენელიც, ქართლ-კახეთის და სხვა. ამხანაგების მოხსენებებმა კომუჯრედს გადაუშალა მთელი საქართველოს გლეხობის ცხოვრება.

კურსანტები, ზოგიერთის გამოკლებით, კარგათ ჩაჰკვირვებიან სოფელს, არ დაუტოვებიათ არც ერთი კუთხე ჩვენი სოფლის, რომ არ შეეხედათ შიგ და გასცნობოდენ მის ცხოვრებას.

პარტიის უჯრედი, კომკავშირი, სოფლის საბჭო, გლეხკომი, კლუბი, ქოხ-სამკითხველო, კოოპერატივი, ყველგან ყოფილან ამხანაგები, უბაასნიათ ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებთან, გასცნობიან გლეხობას, გაუმართავთ ბაასი და აღუნუსხიათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მე-14-ე პარტკონფერენციის შემდეგ შეცვლილია სოფლის სურათი. სოფელი დასდგომია აღორძინების გზას, შემატებია მომუშავენი სხვა და სხვა დარგში, იზრდება კოოპერაცია. გლეხობის ფსიქოლოგიაშიც მომხდარა გარდატეხა.

იგი ნდობით უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას, უგდებს ყურს ყველა მის რჩევა-დარიგებას და ასრულებს მას. უპარტიო გლეხობა ფართედ ეტანება სოფლის საბჭოებს და იღებს მონაწილეობას სოფლის მართვა-გამგეობის საქმეში.

ბოლო ეღება ცარცვა-გლეჯას, უკანონობას, უსამართლოთ მოპყრობას მცხოვრებლებისადმი, ხალხის ფულის გაფლანგვას. ზოგიერთ სოფელში კიდევ არიან მოკალათებული ძველი სულით გაჟღენთილი პიროვნებები, რომელნიც ამღვრევენ წყალს. მაგრამ იმათაც აღარ აქვთ გასაქანი.

კურსანტები შეეხენ აგრეთვე ტერშეკრებას. აღნიშნეს, რომ სოფლებიდან სიხარულით მიეშურება ახალგაზრდობა წითელ-ყაზარმისკენ, რომ შეიძინოს სწავლა-განვითარება. ზოგიერთ სოფელს ზეიმით გაუცილებია ახალგაზრდობა რკინის გზის სადგურამდე.

კურსანტები სიამოვნებით აღნიშნავენ, თუ რა სიხარული გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემცირებამ გლეხობაში და მისმა სისწორით განაწილებამ. გლეხები ამბობენ, რომ ამისთანა სამართლიანი მთავრობა არც ყოფილა და არც იქნებაო, და სიხარულით მიაქვთ სალაროში გადასახადები. კომუჯრედს აზრად აქვს ყველა მოხსენებები, დამთავრების შემდეგ, გადაუგზავნოს ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებს შიგ აღნიშნულ ზოგიერთ დეფექტების გამოსასწორებლად.

ე. ხუციშვილი.

# პარტიული ცხოვრება

## მე-4-ხე ტერ-ლეგიონის ცხოვრებიდან.

ლეგიონის სამნეო ასეულში დღემდე არ არსებობდა კომ-უჯრედი.

ამის მიზეზი იყო ის, რომ საკმარისად არ იყო თავ მოყრილი პარტიის წევრები და კანდიდატები. 9 სექტემბერს გუნდში დაარსებული იქნა კომ-უჯრედი, ვინაიდან საკმარისი აღმოჩნდა პარტიის წევრები, კანდიდატები და ლენინელთა კავშირის წევრები.

ამჟამად ჩვენს უჯრედში ირიცხება 13-დე პარტიის წევრები და კანდიდატები ხოლო 8-მდე კი ლენინელთა კავშირის წევრები.

უჯრედი დაარსების თანავე შეუდგა მუშაობას, რომელმაც პარტიის წევრებს დაუნაწილა სამუშაოები უჯრედმა უფრო ყურადღება მიაქცია თავის წევრების, და მასთან უპარტიოების აღრმზდელობითი საკითხს. უჯრედმა დაარსების თანავე გააბა სხვა და სხვა უჯრედებთან კავშირი რომელსაც დიდი შედეგი მოაქვს.

დ ქაჯაია.

## ახკომკავშირელთა შორის. გაერთიანებული კრება.

მე-6-ე ტერ-ლეგიონი.

15 სექტემბერს შესდგა ხსენებულ ლეგიონის ლენ-ახკომ. კავშირელთა დამხმარე ჯგუფების გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო ლეგიონის კომკავშირელებთან ერთად პარტ-წევრები და კანდიდატები. დღის წეს რიგში სხვა საკითხთა შორის დასმული იყო: საკითხი ახკომკავშირელების მდგომარეობა დასავლეთ ევროპაში.

მოხსენება გაკეთებული იქნა ქართულ და რუსულ ენებზე. მომხსენებლებმა აღნიშნეს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კომ.კავშირის წევრების ბრძოლა.

აღნიშნულ მოხსენებას დაუკავშირეს ავსტრიის ახალგაზრდობის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში და მისი მნიშვნელობა. მოხსენების დამთავრების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც ლეგიონის ახკომკავშირელთა გაერთიანებული კრება ესალმება ავსტრიის ახალგაზრდობის დელეგაციის ჩამოსვლას საბჭოთა კავშირში და სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ ისინი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გააქარწყლებენ იმ უმგვანო ჭორებს, რომლითაც დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული პრესა კვებავს თავიანთ მკითხველებს საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

მიმდინარე საკითხების ამოწურვის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი ნ. ანი.

## ლეგ-ლიკ-სკოლათა მუშაობის შედეგები.

მე-4 ლეგიონი.

ლეგიონს ქონდა გახსნილი სალიკვიდაციო სკოლები ხუთ ადგილას. მეცადინეობა 1902 წ. დაბადებულ ცვალებადელთა შორის დაიწყო 20 ივნისს და დამთავრდა 30 აგვისტოს.

საგამომცემლო კომისიების მუშაობამ გვაჩვენა შემდეგი: სულ სწავლობდა სკოლებში 276 წ. მოლაშქრე.

აქედან კარგათ დაამთავრა სკოლა 92. დამაკმაყოფილებლად 90. ხუსტათ 52.

ერთი თვით მეცადინეობა გაუგრძელდა 42 კაცს, რომელნიც ეკუთვნიან სამნეო ასეულს, ვინაიდან უკანასკნელები არ გასულან საბანაკოთ. მეცადინეობაში უმთავრეს ხელის-შემშლელ მიზეზებად ჩაითვლებიან სამეურნეო დარგში სროლის საქმე, ლაშქრობანი და ავათმყოფობანი, რომელთა გამო ხდებოდა წ. არმიელების მასიური დაკლება მეცადინეობაზე.

ზოგიერთ სამაზრო პოლიტგანებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ენერგია, რომელსაც ხსნიდენ უსახსრობით.

დამთავრებულთა რიცხვიდან ეკუთვნიან სომხურ ჯგუფს 26 მოლაშქრე, ხოლო ოსურს-34 კაცი, რომელთა შორის მეცადინეობა სწარმოებდა მშობლიურ ენაზე.

ყველა დეფექტები, რომლებიც თან დაყვა ლიკ-სკოლათა მეცადინეობას აღნუსხულია და მომავალ შეკრების დროს გამოსწორებული იქნება.

სამხკორი სან-მანი.

## ასე რატომ ხდება.

პირველი ლეგ. სამნეო გუნდი.

ლეგიონზე კარგა მანძილით არიან დაცილებული სამნეო ნაწილი და ბატარეია. ამ ნაწილებს არა ყავთ საექიმო პერსონალი. როდესაც ვინმე გახდება ავად და შევატყობინებთ ამის შესახებ მორიგე ფერშალს ლეგიონში, ის მოსვლასაც არ კადრულობს. ალბად შორს სიარულს გაურბიან.

კარგი იქნება ლეგიონის უფროსი ექიმი ერთ ფერშალს ამ ნაწილებშიც მისცემდეს ბინას, წინააღმდეგ შემთხვევაში გასცეს განკარგულება, რათა საჭიროების დროს უარს არ აცხადებდენ ჩვენთან მოსვლაზე.

სამხკორი ნახურის პირელი.

## სოფელს უმზადებთ მუშაკებს.

მე-2 ლეგიონი.

მე-2 ქართულ ლეგიონის კლუბმა შვებულებაში მიმავალ არმიელებისათვის გახსნა საკოოპერაციო, სამილიციო და ქოხ-სამკითხველოს მოკლე ვადიანი კურსები.

ლეგიონის წითელი არმიელები სიხარულით მიეგებენ ამ საქმეს.

უფრო მომზადებული ამხანაგები თავის სურვილით ჩაეწერე კურსანტებათ. სულ სამივე ჯგუფში არის 65 კაცი. მეცადინეობა დაიწყო 15 სექტემბერს.

ბათუმის საოლქო პარტიული კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებამ დიდი დახმარება გაგვიწია ლექტორების მხრივ.

მოკლე ვადიანი კურსები დიდ ნაყოფს მოგვცემს სოფლის პოლიტ-საგანმანათლებლო და ეკონომიკ-სამეურნეო აღორძინების სურმეში.

ლალიკო.

## მიაქციეთ ყურადღება.

პირველი ლეგიონი.

რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „წითელ არმიელ-“ში მოთავსებული იყო წერილ I-ლ ლეგიონის სასადილოსა და მის არე მარეში უსუფთაობის შესახებ. ამ წერილმა ნაწილობრივ გასჭრა და ეზო გაასუფთავეს, მაგრამ შიგ სასადილოში კი სისუფთავის დაცვას არაფერი ეშველა. მაგიდებზე ბლომად არის ჭუჭყი, სადაც პურის დადება არ შეიძლება. ჯამები თითქმის გაურეცხავი გვეძლევა. ჩაყრიან რამოდენიმე ასეულ ჯამებს ბოჭკაში და ერთი და იმსავე წყლით ირეცხება.

კარგი იქნება რომ ბოჭკიდან ამორეცხილ ჯამს სუფთი წყალს გაავლებდენ, წყალი კი ბლომათ არის სამზარეულოში.

წ. არმიელი დედანი.

## ახალი ამბები.

— 1905 წლის რევოლიუციის იუბილესთვის რევოლიუციის მუზეუმი შეუდგა მუდმივი გამოფენის მოწყობას.

— **მანქანები გერმანიიდან.** ტყავტრესტმა გერმანიიდან გამოიწერა ფეხსაცმელების საკერავ ქარხნისათვის, მექანიკური საკერი მანქანები.

— **საქ. რემედასი-ის** ცეკამ გადასწყვიტა გამოსცეს „ღია ბარათები“ ს. კ. პ. ბელადების სურათებით.

— **რემედას-ს შემოსავალი** 1-ლი აგვისტოდან 15 სექტემბრამდე საქ. რემედასის ცეკას სალაროში შემოსულა 22.474 მან. 30 კაპ,

— **სატყეო მრეწველობის** ტრესტმა რევოლიუციის მუ-ბა წუმწუმის ქარხანა № 1. ზეუმს უფასოთ გადასცა 300 მანეთის ხე-ტყე.

— **ჯაგარის დამზადება.** საქ. სას-სამ. ბანკმა გადასწყვიტა მომავალ წელში ჯაგრის დასამზადებლად გასცეს 10 ათასი მანეთი.

— **რესპუბლიკის დამზღვევი სალაროები** ამ ჟამად დახმარებას აძლევენ 32 შრომით დასახიჩრებულ მუშა-ქალს.

— **ჭლექის დისპანსერი.** 24 სექტემბერს კამოს ქუჩაზე № 103 გაიხსნება ჭლექთან მებრძოლი დისპანსერი (ამბულატორია).

— **წუმწუმის ქარხანა.** ზარალისა და დავალიანების გამო 1-ლი ოქტომბრიდან დაიხურება.

# მეცნიერება და ტეხნიკა

ვარსკვლავთა შეჯგუფება.

მოწმენდილ ცაზე ღამით, თითეულ ჩვენგანს დაუნახავს განათებული ზოლი, რომელიც გადაუყობა შუაზე მთელ ხილულ ცის თაღს. ეს ზოლი, როგორც მას უწოდებენ „რძის გზა“ ან „იერუსალიმის გზა“ წარმოადგენს მთელ ათეულ ათიათას ვარსკვლავების შეჯგუფებას. დიდი—უზარმაზარი გამადიდებელი მილებითაც კი, ეს ვარსკვლავები ოდნავ თუ გაირკვევიან ცის თაღზე პაწია ვარსკვლავების სახით. სინამდვილეში ისინი არიან დიდი მზეები, ჩვენი დედამიწის მზეზე გაცილებით უფრო დიდი მოცულობის.

ისინი დაუსრულებლად შორს იმყოფებიან ჩვენგან. ისე შორს რომ ჩვენ წარმოდგენაც არ შეგვიძლია ამ მანძილის სიდიდეზე. მათი ბრწყინვალებისაგან გამოშვებული სინათლის სხივები, თითეულ წამში (სეკუნდში) გადიან 300 ათას კილომეტრს, და რამოდენიმე ათი ათასი წლები იმყოფებიან გზაში, სანამ მიაღწევდენ ჩვენს დედა მიწამდე. ამ ვარსკვლავებიდან—ყველაზე უფრო მოახლოებულ ვარსკვლავის სინათლე 10-20 ათასი წელიწადია რაც წამოსულა და მხოლოდ ეხლა მოუღწევია ჩვენამდე. მათ შორის ყველაზე უფრო დაცილებულ ვარსკვლავის სინათლეს 200 ათასი წელიწადი სჭირდება, რომ მოაღწიოს ჩვენამდე.

ამნაირად, ასეთი ვარსკვლავი, რომ ჩაჰქრეს უეცრად, მის სინათლეს მაინც შევხედავთ დედამიწიდან 200 ათასი წლის განმავლობაში.

**მცენარის გამოცოცხლება.**

მცენარეებს ხშირად აცოცხლებენ, მათზე სამკურნალო პრეპარატების მოქმედებით. ერთი პროფესორი რამსდენი იუწყება, რომ მცენარის ზრდა შეიძლება დაჩქარებული იქნეს ეფირის მოქმედებით, რომელსაც ისუნთქავს მცენარე ან შეაშხაპუნებენ იმ უჯრედებში. იმ დროს, როდესაც ეთერი აძინებს ადამიანს, მცენარეზე ის სულ შებრუნებულად მოქმედებს. მის მკვდარ ნაწილებსაც კი აცოცხლებს ის.

ასე მაგალითად გაყინულმა ვარდმა, მასში ეთერის შეშხაპუნებას რამოდენიმე საათიის შემდეგ გამოუშვა მწვანე ფოთლები. შემდეგ ის მშვენივრად განვითარდა და არა თუ დაავადმყოფდა, არამედ დიდ წინააღმდეგობასაც კი უწევდა სხვა და სხვა ავათმყოფობას.

**მაიმუნსა და ადამიანს შორის.**

სამხრეთ ამერიკაში პროფესორ რაიმონდ დარტის მიერ აღმოჩენილი იქნა თავის ქალა, რომელიც არ ეკუთვნის არც ადამიანის მზგავს მაიმუნს და არც ადამიანს, როგორც პროფესორი დარტი აცხადებს ის წარმოადგენს ადამიანსა და ადა, მიანის-მსგავს მაიმუნს შორის განვითარების სტადიის ერთ პერიოდს. „ამნაირად ზოოლოგიურ რიგში ცარიელი ადგილი ადამიანსა და მის მსგავს მაიმუნშორის უკვე შეივსო-აცხადებს დარტი.

აღმოჩენილი თავის ქალის პატრონი არ იყო ადამიანი, მაგრამ სულიერი განვითარებით ის ძლიერ განსხვავდებოდა გორილასა და შიმპანზესაგან, რომლებიც უფრო უახლოვდებიან ადამიანს.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-5 ლეგ-ბიუროს კოლექტივში აქვთ შემოტანილი განცხადება პარტიაში შემოსვლის შესახებ შემდეგ პირებს:

1. ილია ჭინჭარაძე, 2. ხარიტონ სარია, 3. სერგო ვართანოვი დავითის ძე, 4. ონიფანტე გველესიანი პიმენის ძე, 5. დავით კაპანაძე ნიკოს ძე, 6. არჩილ მთაშვილი ივანეს ძე, 7. შალვა გოგოლაძე ალექსის ძე, 8. ვანო ამისვლაშვილი მიხეილის ძე, 9. მიხეილ ქართლელიშვილი გიორგის ძე, 10. არჩილ ხაჩიძე ალექსის ძე, 11. ანტონ წილასონი იასონის ძე, 12. ნიკოლოზ აბულაძე მიხეილის ძე, 13. აბრამ ჭონიაშვილი აბრამის ძე, 14. მიხეილ სუხიაშვილი იოსების ძე, 15. ნიკოლოზ გიორგობიანი ოტიას ძე, 16. ბუცხრუკიძე პეტრე ივანეს ძე, 17. ფეტელავა ამბაკო პავლეს ძე, 18. შანშიაშვილი დავით ივანეს ძე,

გთხოვთ ზემოდ დასახელებულ ამხანაგებზე თუ ვისმე რაიმე საწინააღმდეგო მოეპოება შეგვატყობიოთ ბიურო კოლექტივში.

ლეგიონის ბიურო კოლექტივის მდივანი **სხვიტარიძე.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. დ. შანშიაშვილს** თქვენი ლექსი „მდიდარს“ არ გამოდგა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებიდან.

**ამხ. კრიახს** თქვენი წერილი „ფანქარის საპასუხოთ არ გავა ამის შესახებ საპასუხო წერილი იყო და უფრო საფუძვლიანიც.

**ამხ. გ. ტურაშვილს** კორესპონდენცია ჭირნახულზე არ გამოდგა.

**ამხ. ფრანგს** (2-რე მესანგრე) თქვენი წერილი „საკავშირო შეკრება“ არ დაიბეჭდება. შემდეგში ფსევდონიმთან ერთად წერილებს თქვენი გვარი და სახელიც მოაწერეთ.

**ამხ. ელისოს**, 2-რე ლეგ. სკოლა). თქვენი კორესპონდენცია შვებულებაზე არ გავა.

**ამხ. ეშმაკს** (ცხენ. ლეგ.) კორესპონდენცია „უკანონობას ბოლო უნდა მოეღოს“ დაუსაბუთებელია. არ დაიბეჭდება.

**ამხ. სიმართლიშვილს** (6-სე ლეგ.) წერილი „მოგვაქციეთ ყურადღება არ გავა. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

**დაკარგე** პარტიული ბილეთი № 48870 გიორგი ალექსანდრე ძე კოზმოვის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.